



შინაგანაწესი, დანართი №09

ახალი რედაქცია დამტკიცებულია

რექტორის ბრძანება № 01-01 03.01.2023

რექტორი  პ. ხვედელიძე



აკადემიური პერსონალის აფილირების
წესი

ნდ №2-010102/09

ბათუმი

2023

მუხლი 1. დოკუმენტის შესახებ

წინამდებარე დოკუმენტი (შემდგომში - წესი) ადგენს ბნსუ-ს აკადემიური პერსონალის ავილირების პრინციპებს და წესებს, მისი მიზანია ბნსუ-ში ამ საკითხების გამჭვირვალობის უზრუნველყოფა. ყველა საკითხი, რომელიც არ არის გათვალისწინებული ავილირებული პერსონალის საქმიანობის, უფლებებისა და მოვალეობების მარეგულირებელი წესებით/დებულებებით და ავილირების შეთანხმებით, რეგულირდება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 2. ავილირება

1. ბნსუ მიიჩნევს, რომ ავილირება წარმოადგენს მისი საკადრო პოლიტიკის კომპონენტს, რომელმაც უნდა შექმნას შიდასაუნივერსიტეტო კონკურენტული გარემო და გაზარდოს ბნსუ-ში სამეცნიერო-კვლევითი აქტივობა. ავილირება გულისხმობს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასა და აკადემიური თანამდებობის მქონე პირს შორის წერილობით შეთანხმებას, რომლითაც თითოეული აკადემიური თანამდებობის მქონე პირი განსაზღვრავს თავის ავილირებას მხოლოდ ერთ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან. ბნსუ-სთან ავილირებული აკადემიური პერსონალი მიიჩნევა ბნსუ-ს სამეცნიერო პერსონალად. ავილირება არის ნებაყოფლობითი;
2. ბნსუ-სთან ავილირებული შეიძლება იყოს მისი აკადემიური პერსონალი - აკადემიური თანამდებობის მქონე პირი, რომელიც წერილობით ადასტურებს ავილირების სურვილს, ეთანხმება ავილირების პირობებს და იღებს მათი შესრულების ვალდებულებას.

მუხლი 3. ავილირების შეთანხმება

1. ბნსუ-სა და პირს შორის ავილირებაზე შეთანხმების ფაქტი დასტურდება ავილირების შეთანხმების ხელმოწერით. წინამდებარე წესი წარმოადგენს ავილირების შეთანხმების შემადგენელ განუყოფელ ნაწილს;
2. ავილირების შეთანხმების ხელმოწერამდე პირი ვალდებულია გაეცნოს წინამდებარე და სხვა წესებს/დებულებებს, რომლებიც განსაზღვრავენ/აზუსტებენ ავილირებული პერსონალის საქმიანობას, უფლებებსა და მოვალეობებს, ხოლო ბნსუ-ს ადმინისტრაცია უზრუნველყოფს ამ დოკუმენტების გაცნობის შესაძლებლობას. ავილირების შეთანხმებაზე ხელმოწერით პირი ადასტურებს, რომ ავილირებაზე შეთანხმების ხელმოწერამდე ბნსუ-მ უზრუნველყო მისთვის წინამდებარე წესის და სხვა დოკუმენტების გაცნობა, რომლებიც წარმოადგენენ ავილირებული პერსონალის საქმიანობის მარეგულირებელ წესს/დებულებას. ავილირების შეთანხმების ხელმოწერის შემდეგ შეთანხმების მხარეები ვალდებული არიან შეასრულონ ამ დებულებების/წესების მოთხოვნები და ავილირების შეთანხმების პირობები.
3. ავილირებაზე შეთანხმების მიღწევის (ავილირების შეთანხმების ხელმოწერის) შემდგომ, ავილირების წესში ცვლილებების შეტანამდე, უნდა მოხდეს ავილირებული პირების ინფორმირება. თანხმობა ავილირებულმა პირმა უნდა დაადასტუროს ცვლილებების გაცნობის ხელმოწერით. იმ შემთხვევაში, თუ ცვლილებები არსებითად/მნიშვნელოვანად ცვლის ავილირების ხელმოწერის პერიოდში არსებული პირობების არსს და ავილირებული პირი არ არის თანახმა გააგრძელოს ბნსუ-სთან ავილირება, მას შეუძლია შეწყვიტოს ავილირების შეთანხმება ბნსუ-ს მიერ აღებული ვალდებულებების (ავილირების შეთანხმების) დარღვევის საფუძველზე. ამ მუხლში მითითებული პირობები არ ვრცელდება იმ შემთხვევებზე, როდესაც ცვლილებების აუცილებლობა გამოწვეულია კანონმდებლობაში შესული ცვლილებებით, რომლებიც წინასწარ შეთანხმებას არ საჭიროებენ. ამ შემთხვევაში ხდება ცვლილებების შესახებ ავილირებული პირის ინფორმირება;

მუხლი 3. ავილირებული პერსონალის უფლებამოსილებები და ვალდებულებები

1. ავილირებული პირი ასრულებს ყველა იმ მოვალეობას და სარგებლობს ყველა იმ უფლებით, რომლებიც განსაზღვრულია შრომითი ხელშეკრულებით, ბნსუ-ს შინაგანაწესით, წინამდებარე წესით, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის მარეგულირებელი დებულებით და აკადემიური და ავილირებული პერსონალის საქმიანობის სხვა მარეგულირებელი დებულებებით/წესებით;
2. ავილირებული პირი უფლებამოსილია: მონაწილეობა მიიღოს ბნსუ-ს განვითარების, ცოდნის გაზიარების, ბნსუ-ში საგანმანათლებლო, სამეცნიერო, კვლევით და სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების პროცესებში; განახორციელოს ბნსუ-ს შინაგანაწესით, წინამდებარე წესით, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის და სხვა მარეგულირებელი დებულებებით/წესებით გათვალისწინებული საგანმანათლებლო, სამეცნიერო და კვლევითი საქმიანობა; ისარგებლოს საქართველოს კანონმდებლობით და ბნსუ-ში მოქმედი მარეგულირებელი წესებით მინიჭებული უფლებებით; წინამდებარე წესით გათვალისწინებულ შემთხვევებში მოახდინოს დატვირთვის კორექტირება, აიღოს ე.წ. „აკადემიური შვებულება“; მოითხოვოს აკადემიური თავისუფლების და მისი უფლებების დაცვა და ბნსუ-ს მიერ აღებული ვალდებულებების შესრულება;
3. ავილირებული პირი ვალდებულია: ხელი შეუწყოს ბნსუ-ს განვითარებას; ჩაერთოს სტუდენტთა და მაგისტრანტთა შემეცნებით, კვლევით, სამეცნიერო და ინტელექტუალურ განვითარებაზე მიმართულ საქმიანობაში, ამ საქმიანობის ხელშეწყობაში და ხელმძღვანელობაში; შეასრულოს ბნსუ-ს აკადემიური და ავილირებული პერსონალისთვის დადგენილი დატვირთვა; მონაწილეობა მიიღოს ბნსუ-ში/ბნსუ-ს თანამონაწილეობით გამართულ სამეცნიერო კონფერენციებში/სემინარებში/სხვ.; ბნსუ-სთვის პრიორიტეტულ მიმართულებებში განახორციელოს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა, რომლის შედეგები ჩათვლება ბნსუ-ს; საქმიანობა განახორციელოს წინამდებარე წესის, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის მარეგულირებელი დებულების, აკადემიური ეთიკის კოდექსის და აკადემიური კეთილსინდისიერების სტანდარტების დაცვით;
4. თუ ავილირებული პირის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა ხორციელდება ბნსუ-სთვის პრიორიტეტულ/აქტუალურ სფეროებში და მისი შედეგები ჩათვლება ბნსუ-ს, მაშინ აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით:
 - 1) ავილირებულ პირს შეუძლია მოახდინოს ყოველწლიური ინდივიდუალური დატვირთვის სქემის კორექტირება:
 - ერთი აკადემიური წლისთვის/სემესტრისთვის შეამციროს აკადემიური (პედაგოგიური და/ან სხვ.) დატვირთვა და გაზარდოს ინდივიდუალური დატვირთვის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი (პირი ვალდებულია დაასაბუთოს მოთხოვნა. განცხადება უნდა იქნეს წარმოდგენილი წინასწარ - აკადემიური წლის/სემესტრის დაწყებამდე არანაკლებ 01 თვით ადრე. გადაწყვეტილება მიიღება განცხადების და შესაბამისი ფაქტობრივი დეკანის რეკომენდაციის განხილვის შედეგად);
 - აიღოს ე.წ. „აკადემიური შვებულება“ - უარი თქვას აკადემიურ და სხვა დატვირთვაზე და განახორციელოს კვლევა (პირი ვალდებულია დაასაბუთოს მოთხოვნა. განცხადება უნდა იქნეს წარმოდგენილი წინასწარ - აკადემიური წლის/სემესტრის დაწყებამდე არანაკლებ 01 თვით ადრე. გადაწყვეტილება მიიღება განცხადების და შესაბამისი კათედრის რეკომენდაციის განხილვის შედეგად);

ძირითადი დოკუმენტი: „შინაგანაწესი“ - დანართი №09			
ნდ №2-010102/09	ვერსია: 0	დამტკიცების აქტი: რექტორის ბრძანება №01-01, 03.01.2023	2-12

მუხლი 4. ბნსუ-ს ფინანსური ვალდებულებები

1. ბნსუ დააფინანსებს:

- კვლევითი/სამეცნიერო პროექტზე/ნაშრომებზე/სხვ. მუშაობას, სახელმძღვანელოს/მეთოდური მასალის/სხვ. გამოსაცემად მომზადებას და/ან გამოცემას, ნაშრომზე/პროექტზე/სხვ. მუშაობის ვადით საერთაშორისო ელექტრონული ჟურნალების/სხვ. მასალებთან წვდომას და სხვ., რაც დაკავშირებულია პროექტის/ნაშრომის/სხვ. სფეროსთან და აუცილებელია ნაშრომის/პროექტის/სხვ. შესრულებისათვის (სრულად ან ნაწილობრივ სხვა თანადაფინანსებელი ფიზიკური/იურიდიული პირის არსებობის შემთხვევაში);
 - სამეცნიერო სტატიის/პუბლიკაციის: ა) საერთაშორისო რეფერირებად რეცენზირებად სამეცნიერო-პრაქტიკულ ჟურნალში „ინოვაციური ეკონომიკა და მართვა“ გამოქვეყნებას (სრულად); ბ) საქართველოს და/ან საერთაშორისო რეფერირებად რეცენზირებად სამეცნიერო-პრაქტიკულ ჟურნალში/სხვ. გამოქვეყნებას (სრულად/ნაწილობრივ);
2. ბნსუ აფინანსებს საერთაშორისო ფორუმში/კონფერენციაში/სხვ. ბნსუ-ს გადაწყვეტილებით და/ან სახელით ავლირებული პირის მონაწილეობას (სრულად ან ნაწილობრივ სხვა თანადაფინანსებელი ფიზიკური/იურიდიული პირის არსებობის შემთხვევაში). ასევე, განსაკუთრებით წარმატებული მონაწილეობისთვის (სერტიფიკატი, დიპლომი, სხვ.) ბნსუ-მ შეიძლება გამოიყენოს წახალისების ერთ-ერთი ფორმა (ერთჯერადი ფულადი ჯილდო, პრემია, ხელფასის დანამატი ან სხვ.);
3. ავლირებული პირის მიერ მომზადებული სტუდენტის/მაგისტრანტის საქართველოს და/ან საერთაშორისო ფორუმებში/კონფერენციებში/სხვ. მონაწილეობის შემთხვევაში ბნსუ იყენებს სტუდენტის/მაგისტრანტის ხელმძღვანელის წახალისების ერთ ან რამდენიმე ფორმას (ერთჯერადი ფულადი ჯილდო, პრემია, ხელფასის დანამატი ან სხვ.);

მუხლი 4. ავლირების ვადა. ავლირების შეწყვეტა

1. ავლირება შესაძლებელია აკადემიური თანამდებობის მქონე პირის შრომითი ხელშეკრულების (აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის) ვადით;
2. ავლირება შეიძლება შეწყდეს შემდეგ შემთხვევებში:
- შრომითი ხელშეკრულების (აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის) ვადის ამოწურვა/ვადადმე შეწყვეტა;
 - ავლირებული პირის გადაწყვეტილებით ავლირების შეწყვეტა - პირადი გადაწყვეტილება (წერილობითი განცხადება) ავლირების შეწყვეტის შესახებ; ბნსუ-ს მიერ აღებული ვალდებულებების (ავლირების შეთანხმების) დარღვევა;
 - ბნსუ-ს გადაწყვეტილებით ავლირების შეწყვეტა - ავლირებული პირის მიერ: სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ავლირება; ბნსუ-სგან მიღებული დაფინანსების არამიზნობრივად ხარჯვა და/ან აღებული ვალდებულებების არასთანადოდ შესრულება/დარღვევა; ბნსუ-ს აკადემიური ეთიკის კოდექსის და აკადემიური კეთილსინდისიერების სტანდარტების დარღვევა; ავლირების შეთანხმების დარღვევა, წინამდებარე წესით და და სხვა მარეგულირებელ დებულებებით/წესებით დადგენილი პირობების და ვალდებულებების შეუსრულებლობა, რომლებიც იწვევენ ავლირების შეწყვეტას;
 - საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, ბნსუ-ს შინაგანაწესით და შრომითი ხელშეკრულებით დადგენილი შემთხვევები, რომლებიც იწვევენ შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტას.
2. ავლირების შეწყვეტა არ იწვევს აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის გაუქმებას და შრომითი ხელშეკრულების ვადადმე შეწყვეტას გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც ბნსუ-ს შინაგანაწესით მიიჩნევა შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლად;
3. პირთან ავლირების შეწყვეტა იწვევს ბნსუ-ს მხრიდან დაფინანსების შეწყვეტას, გარდა შემდეგი შემთხვევისა: თუ ავლირება წყდება შრომითი ხელშეკრულების ვადის ამოწურვის გამო (ვადიანი ხელშეკრულების შემთხვევაში), მაშინ ბნსუ-ს და პირს შორის ფორმდება ხელშეკრულება/წერილობითი შეთანხმება, რომლის თანახმად ბნსუ იღებს ვალდებულებას გააგრძელოს დაწყებული დაფინანსება, ხოლო პირი იღებს ვალდებულებას დადგინდეს ვადაში დაასრულოს ბნსუ-ს მიერ დაფინანსებული საქმიანობა, რომლის შედეგები ჩაეთვლება ბნსუ-ს;
4. ავლირების შეწყვეტის ან წინა პუნქტში მითითებულ ხელშეკრულებაზე/შეთანხმებაზე უარის თქმის შემთხვევაში პირი ვალდებულია ბნსუ-ს სრულად აღუწოდოს მიღებული (მათ შორის, უკვე გამოყენებული) დაფინანსება იმ საქმიანობისა, რომელიც ავლირების შეწყვეტის მომენტისთვის დასრულებული არ არის. იმ შემთხვევაში, თუ კანონმდებლობით დადგენილი წესით ბნსუ ჩაითვლება ავლირების შეთანხმების დამრღვევ მხარედ, მაშინ ბნსუ იქნება ვალდებული გააგრძელოს დაწყებული დაფინანსება შესაბამისი პირობების დაცვით.
5. პირს, რომელმაც შეწყვიტა ბნსუ-სთან ავლირება, შეუძლია შემდგომში (შრომითი ხელშეკრულების მოქმედების ვადაში) მიმართოს ბნსუ-ს რექტორს განცხადებით ავლირების აღდგენის შესახებ. დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში ფორმდება ავლირების ახალი შეთანხმება იმ პირობებით, რომლებიც იმოქმედებს ახალი ავლირების დადების მომენტისათვის.

მუხლი 5. დასკვნითი დებულებები

1. წინამდებარე დოკუმენტს და ცვლილებებს დოკუმენტში ამტკიცებს ბნსუ-ს რექტორი;
2. წინამდებარე დოკუმენტის ძალაში შესვლისთანავე უქმდება წინამდებარე დოკუმენტის ძალაში შესვლამდე მოქმედი დებულებები/წესები, რომლებიც არეგულირებდნენ წინამდებარე დოკუმენტით გათვალისწინებულ საკითხებს;
3. წინამდებარე დოკუმენტის მუხლებს წინამდებარეული აქვს სათაურები ტექსტით სარგებლობის გასაადვილებლად, ეს სათაურები არ მიიჩნევა რომელიმე მუხლის განმსაზღვრელად, შემცველად ან განმმარტებლად;
4. წინამდებარე დოკუმენტის რომელიმე მუხლის/დებულების ძალადაკარგულად/შათილად ცნობა არ ვრცელდება დოკუმენტის სხვა მუხლებზე/დებულებებზე;
5. ყველა საკითხი, რომელიც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე დოკუმენტით, რეგულირდება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით;
6. წინამდებარე დოკუმენტი ძალას კარგავს ახალი დოკუმენტის დამტკიცების შემთხვევაში.

ძირითადი დოკუმენტი: „შინაგანაწესი“ - დანართი №09			
ნდ №2-010102/09	ვერსია: 0	დამტკიცების აქტი: რექტორის ბრძანება №01-01, 03.01.2023	3-12

დანართი #01

აფილირების შეთანხმება

1. შპს „ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტთან“ (შემდგომში - ბნსუ) აფილირების დადასტურებას წარმოადგენს წინამდებარე აფილირების შეთანხმება, რომლის მხარეები არიან: ერთის მხრივ შპს „ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი“ (შემდგომში - ბნსუ), წარმოდგენილი მისი რექტორის - პარმენ ხვედელიძის სახით, და მეორეს მხრივ:

გვარი, სახელი	აკადემიური თანამდებობა	პირადი ნომერი	ტელ. ნომერი
	პროფესორი	<input checked="" type="checkbox"/>	
	ასოცირებული პროფესორი	<input type="checkbox"/>	
	ასისტენტ-პროფესორი	<input type="checkbox"/>	

- შეთანხმებაზე ხელმოწერით მხარეები თანხმდებიან მის შინაარსზე, პასუხისმგებლობაზე, ვალდებულებებზე და უფლებებზე;
- შეთანხმების მხარეები მიიჩნევენ, რომ წინამდებარე შეთანხმების განუყოფელი შემადგენელი ნაწილია შეთანხმების თარიღისთვის ბნსუ-ში მოქმედი „აკადემიური პერსონალის აფილირების წესი“, ასევე სხვა წესები/დებულებები, რომლებიც განსაზღვრავენ/აზუსტებენ აფილირებული პერსონალის საქმიანობას, უფლებებსა და მოვალეობებს;
- ბნსუ-სთან აფილირებული პირი ამ შეთანხმებაზე ხელმოწერით ადასტურებს ბნსუ-სთან აფილირებას, რაც გულისხმობს ბნსუ-ში ძირითადი საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას, ბნსუ-ს სახელით საზოგადოების განვითარებისა და ცოდნის გავრცელების პროცესში მონაწილეობას, განხორციელებული კვლევითი საქმიანობის შედეგების ბნსუ-სთვის ჩათვლას, აქტიურ მონაწილეობას ბნსუ-ში საგანმანათლებლო, კვლევით და სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების, სტუდენტებისთვის და მაგისტრანტებისათვის კონსულტაციების გაწევისა და აკადემიური/სამეცნიერო ხელმძღვანელობის პროცესებში და სხვ. ასევე, შეთანხმების ხელმოწერით აფილირებული პირი ადასტურებს, რომ აფილირების შეთანხმების ხელმოწერამდე ბნსუ-ში უზრუნველყო მისთვის ყველა იმ დოკუმენტის გაცნობა, რომელიც წარმოადგენს აფილირებული პერსონალის საქმიანობის, უფლებებისა და ვალდებულებების მარეგულირებელ წესებს/დებულებებს, და გადასცა მას აფილირებაზე ხელმოწერის თარიღისთვის ბნსუ-ში მოქმედი „აკადემიური პერსონალის აფილირების წესის“ ასლი;
- ამ შეთანხმებაზე ხელმოწერით ბნსუ ადასტურებს, რომ უზრუნველყოს აფილირებული პირი საქმიანობისთვის ადეკვატური პირობებით და შეასრულებს ადებულ ვალდებულებებს, რომლებიც მითითებულია აფილირებული პერსონალის საქმიანობის, უფლებებისა და ვალდებულებების მარეგულირებელ წესებში/დებულებებში ან გამომდინარეობს მათი შინაარსიდან;
- შეთანხმების მხარეები პასუხს აგებენ მათ მიერ ამ შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით მეორე მხარისთვის მიყენებულ ზარალზე, რასაც ანაზღაურებენ სრულად დასაბუთებული მოთხოვნის საფუძველზე;
- ბნსუ-ს სასარგებლოდ სამუშაოს შესრულებისას აფილირებული პირის მიერ მესამე პირის ინტელექტუალური საკუთრების, საავტორო და/ან სხვა უფლების დარღვევის შემთხვევაში პასუხისმგებლობა/ზარალის ანაზღაურების ვალდებულება ეკისრება აფილირებულ პირს;
- შეთანხმების მხარეები თავისუფლდებიან ამ შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით მეორე მხარისთვის მიყენებული ყოველგვარი ზარალის ანაზღაურებისაგან, თუ ეს გამომწვეულია ფორს-მაჟორული გარემოებებით. ასეთ გარემოებებზე მხარეები მიიჩნევენ ყველა იმ დაუძლეველ მოვლენას, რომელთა წინასწარ განსაზღვრა და თავიდან აცილება შეუძლებელია;
- ყველა ურთიერთობა, რომელიც არ არის მოწესრიგებული წინამდებარე შეთანხმებით და შპს „ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი“ მოქმედი დებულებებით/წესებით, რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით: საქართველოს კონსტიტუციით, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით და კანონქვემდებარე აქტებით, საქართველოს კანონით „საქართველოს სამოქალაქო კოდექსით“, საქართველოს ორგანული კანონით „შრომის კოდექსით“, შრომითი საქმიანობის მომწესრიგებელი სხვა ნორმატიული აქტებით;
- შეთანხმების მხარეთა შორის სადავო საკითხები გვარდება მოლაპარაკების და ურთიერთშეთანხმების გზით. თუ დავის დაწყების შესახებ მხარის წერილობითი შეტყობინებიდან 14 (თოთხმეტი) კალენდარულ დღეში მხარემ თავი არიდა დავის განხილვის პროცედურას ან ამ ვადაში შეთანხმება ვერ იქნა მიღწეული, მაშინ დავა განიხილება სასამართლოში საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
- აფილირების პერიოდში ბნსუ უფლებამოსილია, დადებული წინამდებარე შეთანხმების ფარგლებში, მიიღოს წესები, ინსტრუქციები ან/და სხვ., რომლებიც შეეხება აფილირებული პერსონალის საქმიანობას;
- შეთანხმებაში ყოველგვარი ცვლილებებისა და დამატებების შეტანა (გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ის არ იწვევს არსებითი პირობების ცვლილებას, ან/და იგი განპირობებულია კანონმდებლობის ცვლილებით) დასაშვებია მხოლოდ მხარეთა წერილობითი შეთანხმებით. ძალაში შესული ცვლილებები წარმოადგენს წინამდებარე შეთანხმების შემადგენელ ნაწილს;
- შეთანხმება იდება აფილირებული პირთან დადებული შრომითი ხელშეკრულების მოქმედების (აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის) ვადით;
- აფილირების შეთანხმება შეიძლება შეწყდეს ბნსუ-ს ან აფილირებული პირის ინიციატივით. აფილირების შეწყვეტის საკითხები რეგულირდება ამ შეთანხმების შემადგენელ ნაწილად მიჩნეულ „აკადემიური პერსონალის აფილირების წესით“;
- შეთანხმება ძალაში შედის მხარეთა მიერ შეთანხმების ხელმოწერის დღიდან;
- შეთანხმება შედგენილია ქართულ ენაზე, 01 (ერთ) გვერდად, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 02 (ორ) ეგზემპლარად, რომელთაგან 01 (ერთი) ეგზემპლარი ინახება ბნსუ-ში, 01 (ერთი) – ბნსუ-სთან აფილირებულ პირთან.

რექტორი: _____
ხელმოწერა _____
თარიღი _____

აფილირებული პირი: _____
ხელმოწერა _____
თარიღი _____

ძირითადი დოკუმენტი: „შინაგანაწესი“ - დანართი №09			
ნდ №2-010102/09	ვერსია: 0	დამტკიცების აქტი: რექტორის ბრძანება №01-01, 03.01.2023	4-12

ავლირებული აკადემიური პერსონალის ინდივიდუალური დატვირთვა

აკადემიური წელი: 20 – 20 .

სახელი, გვარი		ფაკულტეტი	
აკადემიური თანამდებობა	<input checked="" type="checkbox"/> პროფესორი	<input type="checkbox"/> ასოცირებული პროფესორი	<input type="checkbox"/> ასისტენტ-პროფესორი
ზღვრული დატვირთვა, სთ	<input type="checkbox"/> სრული განაკვეთი	<input type="checkbox"/> ნაწილობრივი განაკვეთი	max: 1792 სთ min: 1680 სთ

ინდივიდუალური დატვირთვის სქემა

№	დატვირთვის კომპონენტი	შენიშვნა
1. სასწავლო-პედაგოგიური საქმიანობა - 20 - 20 აკადემიური წელი		
1.	სასწავლო კურსები - საკონტაქტო დატვირთვა (ლექცია, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, პრაქტიკული/ლაბორატორიული მეცადინეობა, შუალედ. და დასკვ. გამოცდები)	ქვემოთ მოცემული სასწავლო კურსების/სხვ. ცხრილების შესაბამისად
2.	კონსულტაციების საათები	
3.	ლექციისთვის, პრაქტიკული/ლაბორატორიული მეცადინეობისთვის, სამუშაო ჯგუფში მუშაობისთვის და/ან სხვ. მომზადება	1 სასწავლო კურსი = 13 სთ
4.	მიმდინარე შეფასებები - წერიტი დავალებების შედგენა	1 სასწავლო კურსი = 8 სთ
5.	მიმდინარე შეფასებები - წერიტი დავალებების შემოწმება	1 სტუდენტის ნაშრომი = 0.5 სთ
6.	შუალედური გამოცდები - საგამოცდო დავალებების შედგენა	1 სასწავლო კურსი = 3 სთ (1 სასწ. კურსისთვის 3 ვარიანტი)
7.	შუალედური გამოცდები - საგამოცდო დავალებების შემოწმება	1 სტუდენტის ნაშრომი = 0.5 სთ
8.	შუალედური გამოცდები - შედეგების განხილვა	1 სასწავლო კურსი = 2 სთ
9.	დასკვნითი გამოცდები - საგამოცდო დავალებების შედგენა	1 სასწავლო კურსი = 3 სთ (1 სასწ. კურსისთვის 3 ვარიანტი)
10.	დასკვნითი გამოცდები - საგამოცდო დავალებების შემოწმება	1 სტუდენტის ნაშრომი = 0.5 სთ
11.	დამატებითი გამოცდები - ჩატარების საათები	1 დამატებითი გამოცდა = 2 სთ
12.	დამატებითი გამოცდები - საგამოცდო დავალებების შემოწმება	1 სტუდენტის ნაშრომი = 0.5 სთ
13.	საბაკალავრო/სხვ. ნაშრომის ხელმძღვანელობა	სილაბუსში მითით. საკონტ. სთ x ნაშრომ-მებ. რაოდენობაზე
14.	საბაკალავრო/სხვ. ნაშრომის რევენზენტობა	5 სთ x ნაშრომების რაოდენობაზე
15.	სამაგისტრო/სხვ. ნაშრომის ხელმძღვანელობა	1 ნაშრომი = 20 სთ + სილაბუსში მითითებული საკონტ. სთ
16.	სამაგისტრო/სხვ. ნაშრომის რევენზენტობა	10 სთ x ნაშრომების რაოდენობაზე
17.	პრაქტიკის ხელმძღვანელობა	1 პრაქტიკის ობიექტი = 13 სთ + სილაბუსით გათვალისწინებული საკონტაქტო სთ x სტუდენტების რაოდენობაზე
18.	მოქმედი სასწავლო კურსის სრულყოფა-განახლება	1 სასწავლო კურსი = 20 სთ
19.	სასწავლო კურსის მიზნებისთვის სალექციო მასალების, რიდერების, საილუსტრაციო მასალების, პრეზენტაციების და/ან სხვ. მომზადება	1 რიდერების/დამზარე მასალის/სხვ. მომზადება = 50 სთ
20.	სასწავლო-პედაგოგიური მიმართულების სხვა საქმიანობა	1 აქტივობა = 10 სთ
2. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა (ბნსუ-ს სახელით/ბნსუ-ს გადაწყვეტილებით/ბნსუ-ს მიზნებისთვის)		
1.	სამეცნიერო ნაშრომების (სახელმძღვანელო/ლექსიკონი/სხვ.) მომზადება	1 ნაშრომი = 200 სთ
2.	სამეცნიერო/დარგობრივ რეფერირებად და/ან რეგისტრირებულ სამეცნიერო ელექტრონულ გამოცემებში (ჟურნალებში/კრებულებში/სხვ.) პუბლიკაციების გამოქვეყნება	1 პუბლიკაცია = 30 სთ
3.	სასწავლო-მეთოდური მასალის/სხვ. მომზადება	1 ნაშრომის მომზადება = 100 სთ
4.	სასწავლო-მეთოდური მასალის/სხვ. თარგმნა	1 თარგმნი გვერდი = 5 სთ
5.	სამეცნიერო/დარგობრივი გამოცემის სარედაქციო კოლეგიის წევრობა	1 ჟურნალის/კრებულის/სხვ. კოლეგიის წევრობა = 20 სთ
6.	სამეცნიერო/დარგობრივი ნაშრომის/პუბლიკაციის რედაქტორობა	1 ნაშრომი = 50 სთ, 1 პუბლიკაცია = 20 სთ
7.	სამეცნიერო/დარგობრივი ნაშრომის/პუბლიკაციის რევენზენტობა	1 ნაშრომი = 25 სთ, 1 პუბლიკაცია = 15 სთ
8.	ბნსუ-ს სახელით საერთაშორისო/ადგილობრივ სამეცნიერო/დარგობრივ კონფერენციებში/სხვ. მონაწილეობა - კონფერენციისთვის/სხვ. მასალის მომზადება	1 კონფერენციის/სხვ. მასალა = 15 სთ
9.	სამეცნიერო-კვლევითი მიმართულების სხვა საქმიანობა (არსებობის შემთხვევაში)	1 აქტივობა = 10 სთ

ძირითადი დოკუმენტი: „შინაგანაწესი“ - დანართი №09

ნდ №2-010102/09	ვერსია: 0	დამტკიცების აქტი: რექტორის ბრძანება №01-01, 03.01.2023	5-12
-----------------	-----------	--	------



3. ბნსუ-ს სტუდენტთა ხელშეწყობის/მხარდაჭერის ღონისძიებებში მონაწილეობა		
1.	საერთაშორისო/ადგილობრივ კონფერენციებში/სხვ. მონაწილეობისთვის სტუდენტთა მომზადება, ნაშრომების/პროექტების/სხვ. შესრულების ხელმძღვანელობა	სტუდენტების რაოდენობა x 60 სთ
2.	ბნსუ-ს კონფერენციებში/სხვ. მონაწილეობისთვის სტუდენტთა მომზადება, მათ მიერ ნაშრომების/პროექტების/სხვ. შესრულების ხელმძღვანელობა	სტუდენტების რაოდენობა x 50 სთ
3.	ბნსუ-ში ჩატარებული სტუდენტთა ხელშეწყობის/მხარდაჭერის ღონისძიებების (სპორტული, შემეცნებითი და/ან სხვ.) ორგანიზებაში და/ან განხორციელებაში მონაწილეობა	ღონისძიებების რაოდენობა x 10 სთ
4.	სტუდენტებისთვის დარგობრივი მასტერკლასების, სემინარების, ტრენინგების და/ან სხვ. ჩატარება	მასტერკლასების/სხვ. რაოდენობა x 30 სთ
5.	სტუდენტთა შემდგომი დასაქმების ხელშეწყობა (პოტენციურ დამსაქმებელთან, დარგობრივ/სხვ. ორგანიზაციებთან კავშირების დამყარება/თანამშრომლობა, შეხვედრების, ერთობლივი ღონისძიებების, პოტენციურ დამსაქმებელთან ვიზიტების მოწყობა და/ან სხვ.)	ღონისძიებების რაოდენობა x 30 სთ
6.	სტუდენტთა ხელშეწყობაზე/მხარდაჭერაზე მიმართული სხვა საქმიანობა (არსებობის შემთხვევაში)	1 აქტივობა = 20 სთ
4. ბნსუ-ს განვითარებისა და განათლების ხარისხის სრულყოფის ხელშეწყობაში მონაწილეობა		
1.	ახალი, მათ შორის ერთობლივი და/ან გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებაში და/ან მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების მოდიფიცირებაში მონაწილეობა (სამუშაო აგვუფში მუშაობა) და/ან ახალი სასწავლო კურს(ებ)ის მომზადება და/ან სხვ.	1 პროგრამა / 1 სასწავლო კურსი = 50 სთ
2.	მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის განვითარების მიზნით - საქართველოს/ უცხოეთის საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, დარგობრივ/სხვ. ორგანიზაციებთან, პოტენციურ დამსაქმებელთან და/ან სხვ. თანამშრომლობა (ერთობლივი ღონისძიებების ორგანიზება, ამ ღონისძიებებში მონაწილეობა და/ან სხვ.)	1 ღონისძიება = 15 სთ
3.	ბნსუ-ში/ბნსუ-ს თანამონაწილეობით გამართული ადგილობრივი/საერთაშორისო ერთობლივი კონფერენციების/სემინარების/სხვ. ორგანიზებაში მონაწილეობა	1 კონფერენცია/სემინარი/სხვ. = 15 სთ
4.	ბნსუ-ში/ბნსუ-ს სახელით ბნსუ-ს პერსონალისთვის და/ან უცხოეთის/საქართველოს საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტებისთვის და/ან პერსონალისთვის ტრენინგების/მასტერკლასების/ სხვ. ჩატარება	1 ტრენინგი/სხვ. = 30 სთ
5.	ბნსუ-ში / ბნსუ-ს სახელით/თანამონაწილეობით სამეცნიერო ჟურნალების/კრებულების/სხვ. გამოცემის პროცესში მონაწილეობა	1 გამოცემა/ნაშრომი = 20 სთ
6.	ბნსუ-ს სახელით/ბნსუ-ს მონაწილეობით საერთაშორისო/ადგილობრივი საგრანტო/სამეცნიერო/პრაქტიკული/დარგობრივი/სხვ. პროგრამების/პროექტების/სხვ. მომზადება	1 პროექტი = 50 სთ
7.	ბნსუ-ს სახელით/ბნსუ-ს მონაწილეობით საერთაშორისო/ადგილობრივი საგრანტო/სამეცნიერო/პრაქტიკული/დარგობრივი/სხვ. პროგრამების/პროექტების/სხვ. მომზადება-განხორციელება	1 პროექტი = 100 სთ
8.	აკადემიური და/ან ფაკულტეტის საბჭოს წევრობა	1 საბჭოს წევრობა = 30 სთ
9.	ბნსუ-ში მოქმედი კომისიის (მაგ., კრედიტების აღიარების, საჯარო დაცვების, სხვ.) წევრობა	1 კომისიის წევრობა = 25 სთ
10.	ადმინისტრაციული/დამხმარე/სხვ. თანამდებობის შეთავსება	ადმინისტრაციული/სამეცნიერო = 100 სთ, დამხმარე = 50 სთ
11.	ბნსუ-ს და ბნსუ-ში განათლების ხარისხის განვითარებაზე მიმართული სხვა საქმიანობა (არსებობის შემთხვევაში)	1 აქტივობა = 10 სთ

შენიშვნა: 1) ინდივიდუალური დატვირთვის შესრულებისთვის სავალდებულოა სასწავლო-პედაგოგიური კომპონენტის (თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული ავდიორების შეთანხმებით) და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტიდან ერთ-ერთი აქტივობის შესრულება, 2) დატვირთვის სქემის დანარჩენ 2 კომპონენტში პირი თავად განსაზღვრავს შესასრულებელ აქტივობებს (გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მას კონკრეტული აქტივობის შესრულება ევალება ბნსუ-ს მართვის ორგანოების/სუბიექტების გადაწყვეტილებით) ისე, რომ მათი შესრულებით შესაძლებელი იყოს ზღვრული დატვირთვის საათების შესრულება დატვირთვის თითოეულ კომპონენტში არანაკლებ 1 აქტივობის არსებობის პირობით.

ფაკულტეტის დეკანი: _____
(ხელმოწერა)

ავდიორებული პირი: _____
(ხელმოწერა)

თარიღი: _____

თარიღი: _____

დანართი #03

აფილირებული აკადემიური პერსონალის ინდივიდუალური სემესტრული სასწავლო დატვირთვა
პერიოდი: 20 – 20 .

სახელი, გვარი		ფაკულტეტი	
აკადემიური თანამდებობა	<input checked="" type="checkbox"/> პროფესორი	<input type="checkbox"/> ასოცირებული პროფესორი	<input type="checkbox"/> ასისტენტ-პროფესორი
ზღვრული დატვირთვა, სთ	<input type="checkbox"/> სრული განაკვეთი	<input type="checkbox"/> ნაწილობრივი განაკვეთი	max: 1792 სთ min: 1680 სთ

სემესტრი (შემოდგომის / გაზაფხულის): _____

საგანმანათლებლო პროგრამები (დასახელება, უმაღლესი განათლების საფეხურის მითითებით):

სასწავლო კურსის/პროგრამის სხვა კომპონენტის (პრაქტიკა, საბაკალავრო/სამაგისტრო ნაშრომი) დასახელება	კომპონენტი		საკონტაქტო სთ	კონსულტაცია, სთ
	დასახელება	საკონტაქტო სთ	სულ	სულ
	<input checked="" type="checkbox"/> ლექცია			
	<input type="checkbox"/> სამუშაო ჯგუფში მუშაობა, პრაქტიკული/ლაბორატორიული მეცადინეობა და/ან სხვ.			
	<input type="checkbox"/> შუალედური გამოცდა			
	<input type="checkbox"/> დასკვნითი გამოცდა			

ფაკულტეტის დეკანი: _____
(ხელმოწერა)

აფილირებული პირი: _____
(ხელმოწერა)

თარიღი: _____

თარიღი: _____



დანართი #04

ავიირებული აკადემიური პერსონალის ინდივიდუალური დატვირთვის შესრულების ანგარიში
აკადემიური წელი: 20 – 20 .

სახელი, გვარი		ფაკულტეტი	
აკადემიური თანამდებობა	<input checked="" type="checkbox"/> პროფესორი	<input type="checkbox"/> ასოცირებული პროფესორი	<input type="checkbox"/> ასისტენტ-პროფესორი
ზღვრული დატვირთვა, სთ	<input type="checkbox"/> სრული განაკვეთი	<input type="checkbox"/> ნაწილობრივი განაკვეთი	max: 1792 სთ min: 1680 სთ

ცრილი #1 - ინდივიდუალური დატვირთვის სქემა

#	პროფესორთა შემადგენლობის დატვირთვის კომპონენტი	სულ სთ	გამოთვლის წესი
1. სასწავლო-პედაგოგიური საქმიანობა - 2017 - 2018 აკადემიური წელი			
1.	სასწავლო კურსები - საკონტაქტო დატვირთვა (ლექცია, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, პრაქტიკული/ლაბორატორიული მეცადინეობა, შუალედ. და დასკვ. გამოცდები)		ქვემოთ მოცემული სასწავლო კურსების/სხვ. ცხრილების შესაბამისად
2.	კონსულტაციების საათები		
3.	ლექციისთვის, პრაქტიკული/ლაბორატორიული მეცადინეობისათვის, სამუშაო ჯგუფში მუშაობისათვის და/ან სხვ. მომზადება		1 სასწავლო კურსი = 13 სთ
4.	მიმდინარე შეფასებები - წერთი დავალებების შედგენა		1 სასწავლო კურსი = 8 სთ
5.	მიმდინარე შეფასებები - წერთი დავალებების შემოწმება		1 სტუდენტის ნაშრომი = 0.5 სთ
6.	შუალედური გამოცდები - საგამოცდო დავალებების შედგენა		1 სასწავლო კურსი = 3 სთ (1 სასწ. კურსი - 3 ვარიან.)
7.	შუალედური გამოცდები - საგამოცდო დავალებების შემოწმება		1 სტუდენტის ნაშრომი = 0.5 სთ
8.	შუალედური გამოცდები - შედეგების განხილვა		1 სასწავლო კურსი = 2 სთ
9.	დასკვნითი გამოცდები - საგამოცდო დავალებების შედგენა		1 სასწავლო კურსი = 3 სთ (1 სასწ. კურსი - 3 ვარიან.)
10.	დასკვნითი გამოცდები - საგამოცდო დავალებების შემოწმება		1 სტუდენტის ნაშრომი = 0.5 სთ
11.	დამატებითი გამოცდები - ჩატარების საათები		1 დამატებითი გამოცდა = 2 სთ
12.	დამატებითი გამოცდები - საგამოცდო დავალებების შემოწმება		1 სტუდენტის ნაშრომი = 0.5 სთ
13.	ბაკალავრიატი		სილაბუსში მითითებული საკონტ. სთ x ნაშრომების რაოდენობაზე
14.	საბაკალავრო/სხვ. ნაშრომის რეცენზენტობა		5 სთ x ნაშრომების რაოდენობაზე
15.	მაგისტრატურა		1 ნაშრომი = 20 სთ + სილაბუსში მითითებული საკონტაქტო სთ
16.	სამაგისტრო/სხვ. ნაშრომის რეცენზენტობა		10 სთ x ნაშრომების რაოდენობაზე
17.	პრაქტიკის ხელმძღვანელობა		1 პრაქტიკის ობიექტი = 13 სთ + სილაბუსით გათვალისწინებული საკონტაქტო სთ x სტუდენტების რაოდენობაზე
18.	მოქმედი სასწავლო კურსის სრულყოფა-განახლება		1 სასწავლო კურსი = 20 სთ
19.	სასწავლო კურსის მიზნებისთვის სალექციო მასალების, რიდერების, საილუსტრაციო მასალების, პრეზენტაციების და/ან სხვ. მომზადება		1 რიდერის/დამხმარე მასალის/სხვ. მომზ. = 50 სთ
20.	სასწავლო-პედაგოგიური მიმართულების სხვა საქმიანობა (არსებობის შემთხვევაში), კერძოდ:		1 აქტივობა = 10 სთ
		სულ:	

2. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა (ბნსუ-ს სახელით/ბნსუ-ს გადაწყვეტილებით/ბნსუ-ს მიზნებისთვის)			
1.	სამეცნიერო ნაშრომების (სახელმძღვანელო/ლექსიკონი/სხვ.) მომზადება		1 ნაშრომი = 200 სთ
2.	სამეცნიერო/დარგობრივ რეფერირებად და/ან რეგისტრირებულ სამეცნიერო ელექტრონულ გამოცემებში (ჟურნალებში/კრებულებში/სხვ.) პუბლიკაციების გამოქვეყნება		1 პუბლიკაცია = 30 სთ
3.	სასწავლო-მეთოდური მასალის/სხვ. მომზადება		1 ნაშრომის მომზადება = 100 სთ
4.	სასწავლო-მეთოდური მასალის/სხვ. თარგმნა		1 ნათარგმნი გვერდი = 5 სთ
5.	სამეცნიერო/დარგობრივი გამოცემის სარედაქციო კოლეგიის წევრობა		1 ჟურნალის/კრებულის/სხვ. კოლეგ. წევრობა=20 სთ
6.	სამეცნიერო/დარგობრივი ნაშრომის/პუბლიკაციის რედაქტორობა		1 ნაშრომი = 50 სთ, 1 პუბლიკაცია = 20 სთ

7.	სამეცნიერო/დარგობრივი ნაშრომის/პუბლიკაციის რეცენზენტობა	1 ნაშრომი = 25 სთ, 1 პუბლიკაცია = 15 სთ
8.	ბნსუ-ს სახელით საერთაშორისო/ადგილობრივ სამეცნიერო/დარგობრივ კონფერენციებში/სხვ. მონაწილეობა - კონფერენციისთვის/სხვ. მასალის მომზადება	1 კონფერენციის/სხვ. მასალა = 15 სთ
9.	სამეცნიერო-კვლევითი მიმართულების სხვა საქმიანობა (არსებობის შემთხვევაში), კერძოდ:	1 აქტივობა = 10 სთ
სულ:		

3. ბნსუ-ს სტუდენტთა ხელშეწყობის/მხარდაჭერის ღონისძიებებში მონაწილეობა		
1.	საერთაშორისო/ადგილობრივ კონფერენციებში/სხვ. მონაწილეობისთვის სტუდენტთა მომზადება, ნაშრომების/პროექტების/სხვ. შესრულების ხელმძღვანელობა	სტუდენტების რაოდენობა x 60 სთ
2.	ბნსუ-ს კონფერენციებში/სხვ. მონაწილეობისთვის სტუდენტთა მომზადება, მათ მიერ ნაშრომების/პროექტების/სხვ. შესრულების ხელმძღვანელობა	სტუდენტების რაოდენობა x 50 სთ
3.	ბნსუ-ში ჩატარებული სტუდენტთა ხელშეწყობის/მხარდაჭერის ღონისძიებების (სპორტული, შემეცნებითი და/ან სხვ.) ორგანიზებაში და/ან განხორციელებაში მონაწილეობა	ღონისძიებების რაოდენობა x 10 სთ
4.	სტუდენტებისთვის დარგობრივი მასტერკლასების, სემინარების, ტრენინგების და/ან სხვ. ჩატარება	მასტერკლასების/სხვ. რაოდენობა x 30 სთ
5.	სტუდენტთა შემდგომი დასაქმების ხელშეწყობა (პოტენციურ დამსაქმებლებთან, დარგობრივ/სხვ. ორგანიზაციებთან კავშირების დამყარება/თანამშრომლობა, შეხვედრების, ერთობლივი ღონისძიებების, პოტენციურ დამსაქმებლებთან ვიზიტების მოწყობა და/ან სხვ.)	ღონისძიებების რაოდენობა x 30 სთ
6.	სტუდენტთა ხელშეწყობაზე/მხარდაჭერაზე მიმართული სხვა საქმიანობა (არსებობის შემთხვევაში), კერძოდ:	1 აქტივობა = 20 სთ
სულ:		

4. ბნსუ-ს განვითარებისა და განათლების ხარისხის სრულყოფის ხელშეწყობაში მონაწილეობა		
1.	ახალი, მათ შორის, ერთობლივი და/ან გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებაში და/ან მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების მოდიფიცირებაში მონაწილეობა (სამუშაო ჯგუფში მუშაობა) და/ან ახალი სასწავლო კურს(ებ)ის მომზადება და/ან სხვ.	1 პროგრამა / 1 სასწავლო კურსი = 50 სთ
2.	მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის განვითარების მიზნით - საქართველოს/უცხოეთის საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, დარგობრივ/სხვ. ორგანიზაციებთან, პოტენციურ დამსაქმებლებთან და/ან სხვ. თანამშრომლობა (ერთობლივი ღონისძიებების ორგანიზება, ამ ღონისძიებებში მონაწილეობა და/ან სხვ.)	1 ღონისძიება = 15 სთ
3.	ბნსუ-ში/ბნსუ-ს თანამონაწილეობით გამართული ადგილობრივი/საერთაშორისო ერთობლივი კონფერენციების/სემინარების/სხვ. ორგანიზებაში მონაწილეობა	1 კონფერენცია/სემინარი/სხვ. = 15 სთ
4.	ბნსუ-ში/ბნსუ-ს სახელით ბნსუ-ს პერსონალისთვის და/ან უცხოეთის/საქართველოს საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტებისთვის და/ან პერსონალისთვის ტრენინგების/მასტერკლასების/ სხვ. ჩატარება	1 ტრენინგი/სხვ. = 30 სთ
5.	ბნსუ-ში/ბნსუ-ს სახელით/თანამონაწილეობით სამეცნიერო ჟურნალების/კრებულების/სხვ. გამოცემის პროცესში მონაწილეობა	1 გამოცემა/ნაშრომი = 20 სთ
6.	ბნსუ-ს სახელით/ბნსუ-ს მონაწილეობით საერთაშორისო/ადგილობრივი საგრანტო/სამეცნიერო/პრაქტიკული/დარგობრივი/სხვ. პროგრამების/პროექტების/სხვ. მომზადება	1 პროექტი = 50 სთ
7.	ბნსუ-ს სახელით/ბნსუ-ს მონაწილეობით საერთაშორისო/ადგილობრივი საგრანტო/სამეცნიერო/პრაქტიკული/დარგობრივი/სხვ. პროგრამების/პროექტების/სხვ. მომზადება-განხორციელება	1 პროექტი = 100 სთ
8.	აკადემიური და/ან ფაკულტეტის საბჭოს წევრობა	1 საბჭოს წევრობა = 30 სთ
9.	ბნსუ-ში მოქმედი კომისიის (მაგ., კრედიტების აღიარების, საჯარო დაცვების, სხვ.) წევრობა	1 კომისიის წევრობა = 25 სთ
10.	ადმინისტრაციული/დამხმარე/სხვ. თანამდებობის შეთავსება	ადმინისტრაციული/სამეცნიერო = 100 სთ, დამხმარე = 50 სთ
11.	ბნსუ-ს და ბნსუ-ში განათლების ხარისხის განვითარებაზე მიმართული სხვა საქმიანობა (არსებობის შემთხვევაში), კერძოდ:	1 აქტივობა = 10 სთ
სულ:		

სულ, სთ:

კრილი #2 - აკადემიური წლის განმავლობაში შესრულებული ინდივიდუალური სასწავლო დატვირთვა

სემესტრი (შემოდგომის / გაზაფხულის): _____

საგანმანათლებლო პროგრამები (დასახელება, უმაღლესი განათლების საფეხურის მითითებით):

სასწავლო კურსის/პროგრამის სხვა კომპონენტის (პრაქტიკა, საბაკალავრო/სამაგისტრო ნაშრომი) დასახელება	კომპონენტი		საკონტაქტო სთ	კონსულტაცია, სთ
	დასახელება	საკონტაქტო სთ	სულ	სულ
	<input checked="" type="checkbox"/>	ლექცია		
	<input type="checkbox"/>	სამუშაო ჯგუფში მუშაობა, პრაქტიკული/ლაბორატორიული მეცადინეობა და/ან სხვ.		
	<input type="checkbox"/>	შუალედური გამოცდა		
	<input type="checkbox"/>	დასკვნითი გამოცდა		

სემესტრი (შემოდგომის / გაზაფხულის): _____

საგანმანათლებლო პროგრამები (დასახელება, უმაღლესი განათლების საფეხურის მითითებით):

სასწავლო კურსის/პროგრამის სხვა კომპონენტის (პრაქტიკა, საბაკალავრო/სამაგისტრო ნაშრომი) დასახელება	კომპონენტი		საკონტაქტო სთ	კონსულტაცია, სთ
	დასახელება	საკონტაქტო სთ	სულ	სულ
	<input checked="" type="checkbox"/>	ლექცია		
	<input type="checkbox"/>	სამუშაო ჯგუფში მუშაობა, პრაქტიკული/ლაბორატორიული მეცადინეობა და/ან სხვ.		
	<input type="checkbox"/>	შუალედური გამოცდა		
	<input type="checkbox"/>	დასკვნითი გამოცდა		

ფაკულტეტის დეკანი: _____
(ხელმოწერა)

ავდიორებული პირი: _____
(ხელმოწერა)

თარიღი: _____

თარიღი: _____

ავლირებული აკადემიური პერსონალის ინდივიდუალური დატვირთვის შესრულების ანალიზი
აკადემიური წელი: 20 – 20 .

სახელი, გვარი		ფაკულტეტი	
აკადემიური თანამდებობა	<input checked="" type="checkbox"/> პროფესორი	<input type="checkbox"/> ასოცირებული პროფესორი	<input type="checkbox"/> ასისტენტ-პროფესორი
ზღვრული დატვირთვა, სთ	<input type="checkbox"/> სრული განაკვეთი	<input type="checkbox"/> ნაწილობრივი განაკვეთი	max: 1792 სთ min: 1680 სთ

ფაკულტეტის დეკანის შეფასება:

#	დატვირთვის კომპონენტი	მოთხოვნასთან შესაბამისობა		შენიშვნა
		დიახ	არა	
1.	სასწავლო-პედაგოგიური საქმიანობა*	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	-
2.	სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა (ბნსუ-ს სახელით/ ბნსუ-ს გადაწყვეტილებით/ბნსუ-ს თანამონაწილეობით/ბნსუ-ს სახელით)*	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	-
3.	ბნსუ-ს სტუდენტთა ხელშეწყობის/მხარდაჭერის ღონისძიებებში მონაწილეობაში	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	-
4.	ბნსუ-ს და ბნსუ-ში განათლების ხარისხის განვითარების ხელშეწყობაში მონაწილეობა	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	-

შენიშვნა: 1) ინდივიდუალური დატვირთვის შესრულებისთვის სავალდებულოა სასწავლო-პედაგოგიური კომპონენტის (თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული ავლირების შეთანხმებით) და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტიდან ერთ-ერთი აქტივობის შესრულება, 2) დატვირთვის სქემის დანარჩენ 2 კომპონენტში პირი თავად განსაზღვრავს შესასრულებელ აქტივობებს (გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მას კონკრეტული აქტივობის შესრულება ევალება ბნსუ-ს მართვის ორგანოების/სუბიექტების გადაწყვეტილებით) ისე, რომ მათი შესრულებით შესაძლებელი იყოს ზღვრული დატვირთვის საათების შესრულება დატვირთვის თითოეულ კომპონენტში არანაკლებ 1 აქტივობის არსებობის პირობით.

ფაკულტეტის დეკანის შემაჯამებელი შეფასება და რეკომენდაციები:
შენიშვნა: შემდგომში შრომითი ურთიერთობების შესაძლებლობებზე უარის თქმის რეკომენდაციის შემთხვევაში მიეთითება შესაბამისი დასაბუთება.

ფაკულტეტის საბჭოს შეფასება და რეკომენდაციები:
შენიშვნა: შემდგომში შრომითი ურთიერთობების შესაძლებლობებზე უარის თქმის რეკომენდაციის შემთხვევაში მიეთითება შესაბამისი დასაბუთება.

ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმი: _____

ფაკულტეტის დეკანი: _____
(ხელმოწერა)

ავლირებული პირი: _____
(ხელმოწერა)

თარიღი: _____

თარიღი: _____



ცვლილებების აღრიცხვის ფურცელი

ცვლილებების №	ცვლილებების თარიღი	ცვლილებების შინაარსი